მასშტაბური ბოლო ზარი ოზურგეთში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ცენტრალურ მოედანზე მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების მონაწილეობით მასშტაბური ბოლო ზარი გაიმართა, რომელშიც 44 სკოლის 300 მოსწავლე, ასევე პედაგოგები და მშობლებიც მონაწილეობდნენ.

სკოლის კურსდამთავრებულებს მიესალმნენ გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია,** მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები **გიორგი ლურჯუმელიძე, ნათია გოლიაძე,** ოზურგეთის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ლელა იმედაშვილი..**

ღონისძიება ოზურგეთის მერიის, მხარდაჭერით და საგანმანათლებო რესურსცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

ბოლო ზარის დასრულების შემდეგ ახალგაზრდების განწყობაზე **DJ** გიგა პაპასკირმა იზრუნა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 12(10448) 25 მაისი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

ნაგომრელები „ჩაის გზის“ ფესტივალისთვის ემზადებიან

ალიონი. „გურიის ჩაის გზის“პროექტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლოკაციაა, ნაგომარში არსებული საწარმო „ჩაი გურულები“, რომელიც მუდმივად ცდილობს თავისი პოტენციალის გაუმჯობესებას. იგი აქტიურად მონაწილეობს „ჩაის გზის“ ფესტივალებში და მათი პროდუქცია პოპულარობითაც სარგებლობს.

ნაგომრელებს სოფლის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად ვესტუმრეთ და მათი სანიმუშოდ მოვლილი პლანტაციები დავათვალიერეთ.

– 20 ჰექტრამდე ჩაის პლანტაცია გვაქვს. 40-მდე ქალბატონი გვყავს სეზონზე დასაქმებული. ძალიან მნიშვნელოვანია ჩაის მოვლითი ღონისძიებები, რომ შემდეგ ნაზი დუყები მივიღოთ, რომლისაგან ვამზადებთ როგორც კლასიკურ შავი ბაიხის ჩაის, ასევე მწვანე ჩაისაც.5 ტონა მზა პროდუქციას გამოვუშვებთ. ასევე ვაწარმოებთ მოცვის ჩაისაც და ჩაის ერთჯერად პაკეტებსაც. ძალიან მნიშვნელოვანის სტანდარტების დაცვა, რომ პროდუქცია კონკურენტუნარიანი იყოს –გვითხრა „ჩაი გურულების“ დამფუძნებელმა **ჯონი ნაჭყებიამ.**

ჩვენი საუბრის მეორე ნაწილი ჩაის გადამამუშავებელ საწარმოს შეეხო.

–სახელმწიფოს თანადგომის გარეშე ძნელია ჩაის ბიზნესის განვითარება. „აწარმოე საქართველოს ფარგლებში“ ჩინური კონვეიერული სისტემის საშრობი დანადგარი შევიძინეთ, რომლის ანალოგი გურიაში არ არის. ამ დანადგარის წარმადობა 400 კილოგრამი მზა პროდუქციაა, საშუალოდ 40 კილოგრამ პროდუქციას უშვებს საათში –გვიხსნის ჯონი ნაჭყებია.

საწარმოს 3 ადამიანი

გვ–2

„ულეველა“ მალე შესთავაზებს ბაზარს ულევ პროდუქციას....

ანუ, ეს საწარმო საუკეთესო მაგალითია, იმისა, თუ როგორ შეიძლება ითანამშრომლოს სახელმწიფომ და კერძო სექტორმა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში, სახელმწიფოს მხარდაჭერით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ულეველას“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი რძის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა.

აჭარა-გურიის მთათა სისტემაში,მდინარე გუბაზოულის ერთ-ერთ ულამაზეს ხეობას აყოლილი საკმაოდ რთული გზა, ნელ-ნელა მიიწევს მაღლა და თვალსაწიერი, კიდევ უფრო მშვენიერ ხედებს სწვდება. მთებზე დაშვებული ჩანჩქერები, რძის ქაფივით გადმომდინარნი, მთიანი რელიეფისთვის მახასიათებელი საკმაოდ მკაცრი, მაგრამ მომხიბვლელი გარემო, გურიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში იწვევს მნახველთ.

სოფელი ზოტი, მაღალმთიანი სოფელი გურიის რეგიონის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 820 მეტრზე მდებარეობს. სოფლის მისასვლელთან, საყდრის მთაზე, „ღომისციხის“ ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი. აქ, ჯერკიდევ რუსეთ - ოსმალეთის ომის დროს, ზემო აჭარის სოფ. ღორჯომიდან 1877-1878 წლებში ჩამოსახლებულა რამდენიმე ოჯახი. დღეს, აქაური მკვიდრნი, სწორედ მათი შთამომავლები არიან.

მიუხედავად ცივი და ჭირვეული გაზაფხულისა, აქაურობას კარგად დატყობია გამრჯე ხელი აჭარელი კაცისა, რომელმაც იცის მიწის ფასი და შრომის ფასიც. და ამ ფასდადებული გარჯის ერთ-ერთი შედეგი მოწმობს, თუ მოინდომებ, მიუღწეველიც არაფერია.

ახლა სწორედ ამ შედეგის ავტორებსა და სულის ჩამდგმელებზე გვინდა გიამბოთ.

სახელმწიფოსა და ადგილობრივ ფერმერთა ერთობლივი ძალისხმევით, კოოპერატივში, ჯერ ადგილობრივ ფერმერთა გაერთიანება განხორციელდა, შემდეგ კვლავ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი და... სახელწოდებით „ულეველა“ – რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო უკვე გაიხსნა. იდეის ავტორი, ზოტის საჯარო სკოლის პედაგოგი **ნევრიზ მიქელაძე** გახლავთ.

აი, რას გვიამბობს საწარმოს შექმნის ისტორიაზე ქალბატონი **მანანა მინდაძე,** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი:

„ – ჩვენთან სამსახურში, 10 წლის წინ, ასაკოვანი კაცი მოვიდა და გვითხრა: – კარგია, ბიძინა ივანიშვილმა რომ აღნიშნა, სოფლის მეუურნეობა უნდა განვითარდესო. მე ვარ ზოტელი კაცი და მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელია. მეტიც, ჩვენი გადარჩენის საფუძველი, სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა იყოს. ჩვენ ზოტში უნდა შევქმნათ მნიშვნელოვანი საწარმო. მომეწონა მისი იდეა, შემართება და იმედიანი განწყობა. მას შემდეგ დაიწყო ვიზიტები, მცდელობები. გაჩნდა იდეა, კოოპერატივის შექმნისა. დავაკავშირეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. 4 პროგრამაში მიიღო მონაწილეობა ბატონმა ნევრიზმა და მისმა გუნდმა“.

პირველი ეტაპი: მაღალმთიან რეგიონებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების სახ-

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სახელმწიფო რწმუნებული სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა

სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძე,** მოადგილესთან **ზაზა შოშიტაიშვილთან** და ადგილობრივი ხელის-უფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორს **გოგიტა თოდრაძეს** შეხვდა.

„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმას-რულებელ დირექტორთან შეხვედრაზე 2024 წელს განსახორციელებელი მოსახლეობის აღწერის მოს-ამზადებელი სამუშაოები და ამ მიმ-რთულებით რწმუნებულის ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობის მექანიზმები განვიხილეთ. საყოველთაო აღწერა, საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად დავგეგმოთ პრიორიტეტები და ვუპასუხოთ ჩვენი მოქალაქეების წინაშე არსებულ გამოწვევებს“,– აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

ხევის სკოლის ორ მოსწავლეს ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნეს

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა **ლევან უჯმაჯურიძემ,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის საჯარო სკოლის ორ მოსწავლეს, ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნა და სკოლას საჩუქრად წიგნები გადასცა.

ხევის საჯარო სკოლაში გამართულ შეხვედრას, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, შემოქმედელი მიტროპოლიტი მეუფე იოსები და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ნაგომრელები „ჩაის გზის“ ფესტივალისთვის ემზადებიან

ემსახურება. მათი თქმით ძალიან მნიშვნელოვანია მახარისხებელის – ერთიანი კონვეიერი ხაზი ჰქო-დეთ, რაც „ემპარდის“ პროექტითაა შესაძლებელი.

–წავიდა ის დრო, როცა ოზურგეთი ათასობით ტონა მზა პროდუქციას აწვდიდა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებს. ძალიან ბევრი პლანტაცია ამოიძირკვა და ბევრგან მოცვს და სხვა ამჟამად პერსპექტიულ კულტურებს აშენებენ, მაგრამ გურიაში ჩაის კულტურას მისი ღირსეული ნიშა უნდა ჰქონდეს. ჩვენ ჯერ-ჯერობით ჩვენს პროდუქცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაგვაქვს, ვგეგმავთ შუა აზიის ქვეყნებშიც გატანას – გვითხრა მან.

ამჟამად ნაგომრელები დაბა ურეკში (მაგნეტიტი) გასამართ „ჩაის გზის“ ფესტივალისთვის ემზადებიან.

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** შემოქმედელ მიტროპოლიტ **მეუფე იოსებთან** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან** ერთად დაესწრო.

ღონისძიებაზე მოსწავლეების და პედაგოგების მონაწილეობით ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ნომრები შესრულდა.

„არა რუსულ ფრენებს“! – საპროტესტო აქცია ოზურგეთში

21 მაისს, ქ. ოზურგეთში, სამოქალაქო მოძრაობის აქტივისტებმა საქართველოში რუსეთთან პირდაპირი ფრენები გააპროტესტეს.

აქციის მონაწილეებმა, კიდევ ერთხელ დაფიქსირეს, რომ რუსეთი მტერი და ოკუპანტია, ჩვენი მომავალი კი ევროკავშირშია. მათი თქმით, მოსკოვთან დაწყებული პირდაპირი ავიამიმოსვლის გამო საქართველოს ხელისუფლება ქვეყანას სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს, რადგან პუტინი შეზღუდვების მოხსნით საქართველოს ცივილური სამყაროსგან დაშორებას ცდილობს.

აქციას, პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოფელ ქვიანში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ 14 ოჯახს უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცათ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ 14 ოჯახს, სარგებ-ლობაში არსებული უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცათ.

–„შესრულდა ჩვენი მოქალაქეებისათვის მიცემული კიდევ ერთი დაპირება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო ჩართულობით და გადაწყვეტილებით, სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობით დაძლეული იქნა მოქალაქეების წინაშე არსებული საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევა და დღეს მათ საკუთრებაში გადაეცათ ბინები, რომლებშიც წლებია ცხოვრობენ და ვერ ახერხებდნენ მის რეგისტრაციას. გურიის რეგიონში ეს არ-ის პირველი პრეცედენტი. სამუშაო ჯგუფები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას და იმედი მაქვს უახლოეს მომავალში კიდევ შევძლებთ არაერთი ოჯახის გახარებას,“– აღნიშნა **გიორგი ურუშაძემ.**

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები აზნეფტის ქუჩის მცხოვრებლებს მხარის რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა გადასცეს.

„ულეველა“ მალე შესთავაზებს ბაზარს ულევ პროდუქციას....

ანუ, ეს საწარმო საუკეთესო მაგალითია, იმისა, თუ როგორ შეიძლება ითანამშრომლოს სახელმწიფომ და კერძო სექტორმა

ელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სიმბოლურ ერთ ლარად უზუფრუქტით გადაეცათ 536 ჰექტარი სათიბ-საძოვარი; ამ პერიოდში გადაეცათ 5 ცალი ხელის მოტობლოკი, რომლის ღირებულების ნაწილი სააგენტოსთან ერთად ბენეფიციარებმაც გადაიხადეს. აღნიშნულ ტექნიკას ისინი სათიბ ფართობებში იყენებენ.

შემდეგ გადაეცათ 240 000 ლარის ღირებულების ტექნიკა (ტრაქტორი, გუთანი, ფარცხი, სათიბელა, თივის პრესის დამამზადებელი და მისაბმელი); მათ შორის თანხის 10% კოოპერატივმა გადაიხადა.

მეორე ეტაპი: რძის მწარმოებელი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა: სააგენტომ დაფარა 250 000 ლარი, კოოპერატივის გადასახდელი გახდა 100 000 ლარი, რაც იაფიანი კრედიტით იქნა განხორციელებული. მათ ააგეს რძის გადამამუშავებელი საწარმოს შენობა.

შემდეგი ეტაპი, ბრენდირება, შეფუთვა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემის დანერგვა;

კოოპერატივი სამი წელი სიმბოლურ ერთ ლარს იხდიდა, ამჟამად, ჩვეულებრივად იხდიან მიწის საიჯარო თანხას. რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო მდინარე გუბაზოულთან ახლოს, პატარა გორაკზეა განთავსებული, იქვე, პატარა შენაკადზეა წისქვილი. აქაური, განსაკუთრებული ღირებულების რძისგან, თანამედროვე დანადგარებით, ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის ნაწარმის მიღებაა შესაძლებელი. ამჟამად დასაქმებულია 8 პირი, მათ შორის ძირითადად ქალბატონები არიან. ასევე, 41 წევრი, კოოპერატივის მეპაიეა, გაერთიანებული ჰყავთ 200 ფური. წლის განმავლობაში, დაახლოებით 45 ტონა რძის გადამუშავებას გეგმავენ. გამოუშვებენ: სულგუნს, დაწნულ ყველს, იმერულ ყველს, ნადუღს, ნაღებს, პასტერიზებულ რძეს...

მანანა ჭელიძე რძის პროდუქტების წარმოებაზე მუშაობს:–„ *მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რაც მაღალმთიან სოფელს ახასიათებს, დიდი შრომის ფასად, შევძელით საწარმო გაგვეხსნა. ახლა ვიდგამთ ფეხს და იმედი გვაქვს ყველაფერს მივარწევთ“.*

დარიკო ჭელიძე: ერთ-ერთი მეპაიე:– *„ჩვენს საწარმოში ძირითადად ქალები არიან გაერთიანებული. რაც, მათივე წარმატების მომტანი იქნება. გვეიმედება ჩვენი მომავალი საქმიანობისა.“*

თუმცა, იქვე საუბრობენ იმ სირთულეებზეც, რაც მაღალმთიანი სოფლის კლიმატს და რთულ რელიეფს უკავშირდება. რომ საქონელი მალე მთაში გაირეკება, რძის გადმოსატანად კი, გზის შეკეთება და სპეციალური რძის ბიდონები იქნება საჭირო. ასევე სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ ზოტი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული და ყველა სამუშაო, გაცილებით ძვირი ჯდება და

დროშიც მეტად იწელება, ვიდრე ბარში. აქ, 6 თვე ზამთარია და ხშირად გზები ჩაკეტილი. ამ საკითხების მოგვარება, მათ ადგილობრივ ხელმძღვანელთა თანადგომის გარეშე გაუჭირდებათ, თუმცა ემეიდებათ ისინი.

საწარმოს გახსნა მიულოცა ადგილობრივებს სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძემ;** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ;** სოფლის განვითარების სააგენტოს კოოპერატივების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **კონსტანტინე ხუციაიძემ,** რომელიც კონსულტაციას უწევდა კოოპერატივის წევრებს მთელი ამ ხნის განმავლობაში..

–აღნიშნული საწარმოს გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია მაღალმთიანი სოფლისთვის, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასთან ერთად ხელს შეუშლის მიგრაციის პროცესებს. საწყის ეტაპზე პროდუქციის რეალიზება მოხდება ადგილობრივ ბაზარზე. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმის, თუ როგორ შეიძლება იყოს ჯანსაღი თანამშრომლობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. ეს საწარმო შეიქმნა სახელმწიფოს სრული მხარდაჭერით. დანადგარები გადაეცა კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,“– აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ.**

ნევრიზ მიქელაძემ მადლობა გადაუხადა მათ, რომელთაც, თუნდაც მცირე წვლილი შეიტანეს საწარმოს შექმნაში.

უყურებ მთის შვილს, აქაურობასთან შერწყმულ ამ გამრჯე ადამიანს და კიდევ ერთხელ რწმუნდები - თუ გული გულობს, შეუძლებელი არაფერია.

გაზეთი „ალიონი“ ფეხდაფეხ მოჰყვებოდა საწარმოს შექმნის ამ საინტერესო ისტორიას. ვფიქრობთ, მისი წარმატების მეისტორიეც გახდება – მეტი ქართული წარმოების მაღალხარისხიანი პროდუქცია, ქართული, და არა მარტო ქართული ბაზრისთვის.

ნინო ნიკოლაიშვილი.

„ასოციაცია ჩაის გზის“ ანგარიში

კომპანია „ბახვი ჰესის“ სოციალური პროგრამა ერთი მხრივ, მოიცავს ინფრასტრუქტურულ და საგანმანათლებლო მიმართულებებს, ასევე შშმ პირების დახმარებას საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სოფლებში (მთისპირი და ჩხაკაურა), მეორე მხრივ, კი ორიენტირებულია გრძელვადიან ჭრილში ეკონომიკური სარგებელის მომტან პროექტებზე. სწორედ ამ მხრივ, ბახვი ჰესი უკვე მეორე წელია თანამშრომლობს USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან. პარტნიორობის ფარგლებში, გურიის რეგიონში მნიშვნელოვანი ინიციატივა ხორცილედება, რაც გულისხმობს „გურიის ჩაის გზის“ შექმნას. „გურიის ჩაის გზის“ პროექტი მოიცავს ტურისტული პროდუქტების განვითარებას, ჩაის მწარმოებლების შესაძლებლობების შესწავლასა და მათ გაუმჯობესებას, „გურიის ჩაის გზის“ ასოციაციის მხარდაჭერას და ტურიზმის ინდუსტრიასთან საბაზრო კავშირების შექმნას, რათა რეგიონში ჩაის პოზიციონირება ისევე მოხდეს, როგორც მაგალითად, კახეთში ღვინის. „ჩაის გზის“ მარშრუტი აკავშირებს ერთმანეთთან რამდენიმე სახლის ტიპის სასტუმროსა და მამულს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი მდებარეობა, აწარმოებენ ავთენტურ პროდუქციას, და რაც მთავარია აქვთ ტურისტების გამასპინძლების შესაძლებლობა. მოცემულ მარშრუტზე მოგზაურობის პროცესში სტუმრებს აქვთ საშუალება დააგემოვნონ ჩაი, მიირთვან ადგილობრივი კერძები და რაც მთავარია ახლოს გაეცნონ გურული სოფლების ეთნოგრაფიულ მახასიათებლებს.

„ასოციაცია ჩაის გზის“ განვითარების პროექტი უნდა ითქვას, რომ წარმატებით მიმდინარეობს. დიდი მადლობა ამისთვის ასოციაციას და მის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პროექტის განვითარების ყველა ეტაპზე. მათ უდიდესი საქმე შასრულეს, რომელიც ნამდვილად უწყობს ხელს სტუმარ-მასპინძლობის სექტორის განვითარებას, ახალი მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებას ტურისტებისთვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან გამოცდილების მიღების შესაძლებლობებზე. გურია კი თავისი ბუნებით, ფოლკლორით, ტრადიციული სამზარეულოთი და ჩაის კულტურით, არის სწორედ ის ადგილი, რომელსაც აქვს რესურსი შესთავაზოს უცხოელ სტუმარს დაუვიწყარი გამოცდილება. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს პარტნიორთან USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრ-ამასთან ერთად, გვეძლევა საშუალება განვავითაროთ ეს პროექტი და გავ-აძლიეროთ გურული ჩაის შესახებ არსებული ცოდნა და გამოცდილება“ – განაცხადა ბახვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

„ჩვენ მოვიძიეთ 16 მასპინძელი ოჯახი ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში, მოვიზიდეთ დარგის ექსპერტები და მათთან ერთად მოვახდინეთ საჭიროებების იდენტიფიცირება, შემდეგ კი ამ საჭიროებებზე მორგებული სერვისები გავუწიეთ ობიექტებს. მაგალითად, თითოეული ობიექტისთვის შეიქნა მარკეტინგული გეგმა და ლოგოები, სოციალურ ქსელებში დავარეგისტრირეთ გვერდები, მოვახდინეთ მათი სხვადასხვა ტურისტულ აპლიკაციებში ინტეგრაცია, მარკეტინგულად შევფუთეთ ტურისტული მიმართულებები, მოვაწესრიგებინეთ ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც გულისხმობდა სადეგუსტაციო სივრცეების შექმნას ან განახლებას, ჩავატარეთ ინდივიდუალური კონსულტაციები პროდუქტის შექმნა-განვითარების სრული ციკლისთვის, ასევე, გავუწიეთ კონსულტაციები გასტრონომიის მიმართულებით, მოვაწესრიგეთ მენიუები. დიდი სამუშაო ჩატარდა უდაოდ და ვფიქრობ, ამ პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მასპინძელი ოჯახებისთვის იქნება ის იარაღი, რომელიც დაეხმარება მათ ტურისტების მოზიდვასა და კმაყოფილების ინდექსის ზრდაში“ – განაცხადა **ია ურუშაძემ,** ჩაის გზის სტუმარ-მასპინძლობის კოორდინატორმა.

„ასოციაცია ჩაის გზა“ თანდათან ავითარებს სექტორს და პოპულარიზაციას უწევს ჩაის კულტურას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ორი წლის განმავლობაში „ასოციაცია ჩაის გზა“ მის წევრებთან ერთად იღებს მონაწილეობას ფესტივალებში, თავადაც აწყობს გამოფენა-გაყიდვებს, ამყარებს ურთიერთობებს იმპორტიორებთან, რათა გაიზარდოს გურული ჩაის ექსპორტი. ასოციაცია მუშაობს გურული ჩაის სტანდარტზეც, რაც გულისხმობს არსებული სტანდარტის ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობის მოყვანას. აპრილის თვეში, ასოციაციის თავმჯდომარეს ჰქონდა შეხვედრები პრაღაში იმპორტიორ კომპანია "Tea Mountain Co"-ს ხელმძღვანელობასთან. წელს კომპანია 800-დან 1000 ტონამდე ჩაის ექსპორტს გეგმავს ჩეხეთში.

30 აპრილს თბილისში, მთაწმინდის პარკში ჩაისა და თაფლის ტრადიციული ფესტივალი გაიმართა, სადაც ჩაის 20-მდე ადგილობრივი და უცხოელი მწარმოებელი მონაწილეობდა. ფესტივალზე „ასოციაცია ჩაის გზის“ წევრებმაც („შემოქმედი" – ოზურგეთი, „ნაგომარი" – ოზურგეთი და „არომატი" – ლანჩხუთი) მიიღეს მონაწილეობა.

ბახვი ჰესი აგრძელებს „ჩაის გზის ასოციაციის“ მხარდაჭერას. ზაფხულის სეზონისთვის არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი.

დაფინანსებული ფარეი

საქართველოს მეჯურჯლეთუხ უცესი –წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი

.მუზეუმების საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მუზეუმ-ნაკრძალში გაიმართა ღონისძიება „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი“ და ფოტოგამოფენა „საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესი.“

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია, რომელიც წმინდანის ცხოვრებსა და მოღვაწეობას ასახავდა. ასევე ექვთიმეს მოგონებები და წერილები.

გაიმართა დისკუსია საქართველოს ეროვნული საგანძურის ერთგული მცველის მოღვაწეობაზე.

ღონისძიებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებელები ესწრებოდნენ.

ნაგომარში ხანძრის შემდეგ ადმინისტრაციული სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო



ალიონი. 1921 წლის 2 აგვისტოს სოფელ ნაგომარში ხანძრის შედეგად სოფლის ადმინისტრაციული შენობა დაიწვა.

ხანძრით ყველაზე მატად საბავშვო ბაღის აღსაზრდელები დაზარალდნენ, რადგან ამ შენობაში იყო განთავსებული საბავშვო ბაღი და ისინი ფაქტიურად ბაღის გარეშე დარჩნენ. საბავშვო ბაღებში დანერგილი ამჟამინდელი სტანდარტების ფარგლებში არ მოხერხდა შესაბამისი შენობის პოვნა. დაზარალდა სოფლის ამბულატორია, რომელიც შენობის მეორე სართულზე იყო მოთავსებული, ხოლო ოზურგეთის მერიის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლებს ფაქტიურად საველე პირობებში უწევთ მუშაობა.

ამჟამად შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყო და მას ტენდერში გამარჯვებული ბათუმური კომპანია „რეალ მშენ +“ ასრულებს. სარეაბილიტაციო სამუშაობის ღირებულება 683 ათასი ლარია.

–საბავშვო ბაღს თანამედროვე სტანდარტების ფართი ექნება. პირველ სართულზე განთავსდება საექიმო უბანიც. მერის წარმომადგენლობა მეორე სართულს დაიჭერს, სადაც სააქტო დარბაზიც იქნება –გვითხრა მერის წარმომადგენელმა **მიხეილ ცქიტიშვილმა.**

სოფლის მშვენება იყო ნაგომრის კულტურის სახლი, რომლის ისტორია სიმონ გუგუნავას სახელს უკავშირდება.

–ამ სახლის ადგილას იდგა „თამარიანის“ ავტორის სიმონ გუგუნავას სახლი, რომელსაც პოეზიის სასახლეს უწოდებენ. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურის კერა იყო გურიაში.

პოეზიის სასახლე 1906 წლის 15 თებერვალს დაწვა მეფის რუსეთის დამსჯელმა რაზმმა. შემდეგ აქ კულტურის სახლი იდგა, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ძალიან დაზიანდა. ორი წლის წინ კულტურის სახლი გადაიხურა. ნაგომარში ყოფნისას არჩილ თალაკვაძემ და თეა წულუკიანმა სოფელს მისცა პირობა აღადგენდნენ მას და მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიც ექნება.

უკვე შედგენილია ხარჯთაღრიცხვა. კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტი 4 მილიონამდე ლარს შეადგენს – გვითხრა მიხეილ ცქიტიშვილმა.

ცქიტიშვილის თქმით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია წყლის სისტემის პროექტირებას ახდენს. ასევე, სასიამოვნოა, რომ ნაგომრის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია იწყება.

მალე სოფელ ნაგომრის ცენტრს ძველი ბრწყინვალება დაუბრუნდება.

„მუზეუმები, მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა“

ალიონი. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში შემოქმედებითი ღონისძიება „მუზეუმები, მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა“ ჩატარდა.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა მუზეუმის, როგორც ინსტიტუციის როლის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში, რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდება, საგანმანათლებლო პროგრამების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, გამოფენების და კვლევების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით მოწვეულ სტუმრებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი **ლანა ქავთარაძე** ესაუბრა.

– 40 წელზე მეტია, 1977 წლიდან, ეს დღე მთელ მსოფლიოში ღია კარის დღეებით აღინიშნება. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულთან დაკავშირებით კი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში შემოქმედებითი ღონისძიება „მუზეუმები, მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა“ იმართება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მუზეუმი იყოს ცოცხალი ორგანიზმი –აღნიშნა მან.

მეცნიერ-მუშაკმა **ირინა კალანდაძემ** ისაუბრა მუზეუმების ისტორიაზე, მათ საინტერესო კლასიფიკაციაზე, სხვადასხვა სლაიდების მოშველიებით და კიდევ ერთხელ მიულოცა კოლეგებსა და საზოგადოებას ეს უმნიშვნელოვანესი დღე.

–საქართველოში 230 მუზეუმია. მათ შორის, საუკეთესო ასეულში შედის ოზურგეთის მუზეუმი სულ 15 განძი გვაქვს და ამ სიაში, რიგით მე-15 ლაითურის განძია, –აღნიშნა თავის გამოსვლაში მუზეუმის ფონდების მცველმა **მანანა ლომაძემ.**

მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, **ლალი კილაძემ** დარბაზში წარმოადგინა, მუზეუმის მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებიც საზეიმოდ დააჯილდოეს.

სიტყვებით გამოვიდნენ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია,** შშმ პირი **თამუნა ლურსმანაშვილი.**

მოეწყო გამოფენა – „მოგზაურობა ძველ ოზურგეთში“ და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ზენაარის“ წევრებმა ქართული ეროვნული სამოსი წარმოადგინეს.

მუზეუმის საერთაშორისო დღე 1977 წლის 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) მიერ დაფუძნდა და ამ თარიღს საერთაშორისო სამუზეუმო საზოგადოება 45 წელია აღნიშნავს. მუზეუმების საერთაშორისო საბჭო მუზეუმებისა და მუზეუმის პროფეიონალთა უნიკალური ქსელია, სადაც 45 000-ზე მეტი ინდივიდუალური წევრი, 20 000 მუზეუმი, 172 ადგილობრივი და საერთაშორისო კომიტეტია გაერთიანებული.

ინტელექტთამაშების საგაზაფხულო სეზონის გამარჯვებული წმინდა ნინოს სამრევლო სკოლის გუნდია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე- ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ინტელექტ-თამაშების: რა? სად? როდის? გაზაფხულის სეზონის ფინალური შეხვედრა გაიმართა.

ინტელექტ-თამაშების გამარჯვებული გახდა **წმინდა ნინოს სამრევლო სკოლის გუნდი „მთიები“.**

ადგილები ასე გადანაწილდა:

II ადგილი – II საჯარო სკოლა „ჰარუ“;

III ადგილი – I საჯარო სკოლა „ომოიკანე“;

IV ადგილი – ქვემო ნატანები „ზღვისპირელები“.

ფინალში მონაწილე ოთხივე გუნდს დიპლომები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ლანჩხუთმა ინგლისურ სპორტინგს უმასპინძლა

ლანჩხუთმა ინგლისურ სპორტინგს უკვე მესამედ უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობას, როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული მსროლელები იღებდნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობა 53-მა სპორტსმენმა მიიღო.

„ა" კატეგორიაში გამარჯვება *დავით ჭინჭარაულმა, ბესარიონ კაპანაძემ, არჩილ აროშიძემ* მოიპოვეს.

„ბ" კატეგორიაში *მიხეილ ნიკოლაიშვილმა, ალექსანდრე მამფორიამ, გიორგი ისაკაძემ* გაიმარჯვეს. „ც" კატეგორიის გამარჯვებული *გივა დიდბარიძე* გახდა, მეორეზე - *ზურა ჩოგოვაძე,* ხოლო მესამეზე *პაატა რაზმაძე* გავიდა.

სპორტინგი მუნიციალიტეტის მერიისა და საქართველოს სპორტინგ ფედერაციის უშუალო მხარდაჭერით განხორციელდა.

გამარჯვებულები ლანჩხუთის მერის მოადგილეებმა ეკატერინე გუჯაბიძემ და თორნიკე ტიკაძემ დააჯილდოვეს.

„გურული ღვინის ფესტივალი - 2023“

24 ივნისი, გურია, ჩოხატაური, ხიდისთავი (ძველი ოცხანა). გელოდებით!!!

გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი“ №1-11, 2023 წ.

ამბავი „ჩიტისა“

13 წლამდე დარწმუნებული ვიყავი მამას ყველაფერი წაკითხული ჰქონდა...

მოთხრობაც, ნოველაც, რომანიც, წერილიც და სტატიაც – დაწერილი ქართულ ენაზე.

„თხრობის კაცი იყო მამაჩემი (ვთქვი ადრე და გავიმეორე ახლაც)...

კიდევ ერთ რამეში ვიყავი დარწმუნებული ღრმად – პოეზიის ქალბატონი ბრძანდებოდა დედა - „მარწმუნებული საბუთიც მეტი მქონდა“, თსუ-ს ეკონომიკის კურსდამთავრებულმა დედამ სკოლაში შესწავლილი ყველა ლექსი და ყველა საზეპირო ზეპირად იცოდა და, როგორც ჩემს დროს ძალზე ხშირად ამბობდნენ, „ძილში რომ გაგეღვიძებინა, შეუცდომლად გეტყოდა“.

სხვათაშორის, ნაბოლარას ეს რომ ვუთხარი, რომ იტყვიან „მოკვდა სიცილით“ – ლექსის სათქმელად „ად-ამიანი რატომ უნდა გააღვიძოო“...

დავეთანხმე, რასაკვირველია!

გზა მქონდა სხვა თუ, როგორაა საქმე!

მართალი თქვა ნაბოლარამ და სიმართლის მთქმელს აუცილებლად უნდა მივაგო სათანადო პატივი!

სიმართლე ვახსენე და, ბარემ, აქვე ვთქვათ, მამაჩემსაც ჰქონდა პოეტური „ამოძახილები“ თუ „შეძახილები“...

განსაკუთრებით, არ ვიცი რატომ, მაგრამ ფაქტია ,რომ „ორ ხშირად და სამ, იშვიათად სტრიქონების“ ამოძახილ-შეძახილები უყვარდა დროული და მკაფიო!

რამდენიმე როგორ არ მახსენდება, მაგრამ საჯაროდ გახსენებას, ისევე, როგორც ბევრ ფაქტსა თუ მოვლენას გახსენების თავისი დრო აქვს და რიგი!

ხომ გახსოვთ როგორცა: „ყოველთათ?ს ჟამი არს და ჟამი ჩანს ყოვლისა საქმისა ცასა ქუეშე“... კი, კი ეკლესიასტეა, ძველი ქართულით, თუმცა, მე მაინც ახალქართულით მირჩევნია... გამოვიხმობ მასაც... და დავურთავ ბმულსაც საიდანაც ძველი და ახალი დაუზარებლად მოვიტანე თვენამდე: „ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში“, (HTTPS://WWW.ORTH-ODOXY.GE/TSERILI/GADASATSERI/DZVELI/EKLESIASTE/EKLESIASTE-3.HTM).

კიდევ 7 „ჟამია“ „ეკლესიასტეს“ მესამე თავში, გავიხსენე კიდევ ერთხელ, აქ გადმოტანამდე...

სხვათაშორის, ერთი ადამიანიც გავიხსენე ჟამიდან ჟამზე გადასვლისას...

მართლაც საოცარი ადამიანი...

სწორედ ამ ადამიანის პორტრეტით დავიწყე ლამის ორწლიანი „ჟამიანობისას“ ახალი პროექტი, სახელწოდებით „პორტრეტები ავტობიოგრაფიისთვის“...

„პორტრეტები ავტობიოგრაფიისთვის“– პროექტზე ვამბობ, თორემ რა პროექტია, დაფინანსება არ აქვს, შესრულების დრო და მოსალოდნელი შედეგები, არც დაინტერესებული მხარეები გააჩნია, სხვათაშორის არც ერთ მხარეს და არც ბენეფიციარები, ანუ საბოლოო მომხმარებლები, ორი რამ აქვს პროექტის: აქვს მიზნები და აქვს ამოცანები, ჩემთვის რასაკვირველი...

მაშ ასე: 2020-ის 15 აპრილია...

„დარჩი სახლში“ – საჯაროდ გაცხადებულია...

საჯაროდ გაცხადებული - პიროვნულად გათავისებულია და მე, ფეისბუქის საკუთარ გვერდზე, როგორც ვამბობთ „ვპოსტავ“ :

„პორტრეტები ავტობიოგრაფიისთვის (არც აქ და არც სხვაგან კორექტურისთვის არ „მიმიხედავს“ - ახლანდელი შენიშვნა.)

ასე დავასათაურე ახალი წამოწყება.

„პორტრეტები" დღეს არ დამიწყია. .. სულ რამდენიმე ხნის წინ დავიწყე:

საოცარ ადამიანებზე მინდა მოვყვე, რომლებთან საქმიანი ურთიერთობამ დამაკავშირა და მეგობრობით გაგრძელდა...

ვწერ მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა /NATIONAL LIBRARY OF GEORGIA – სთან დაკავშირებულ საქმეებზე.

რომ არა ისინი და რაღა თქმა უნდა, კიდევ ბევრი ადამიანი, რამდენიმე წარმატებულ საქმე ასეთი უბრალოდ ვერ იქნებოდა.

გპირდებით, ვიქნები გულახდილი, მაგრამ არასოდეს გავამხელ მათ სახელებს....

ჩემსასაც არ გავამხელდი; შესაძლებელ რომ იყოს...

დარჩი სახლში და იფიქრე საქმეებსა და მეგობრებზე...“

განვაცხადე და წინა დღით „დაწერილი“ არასაჯარო „პორტრეტი“ გამოვამზეურე:

„საოცარ ადამიანზე ვწერ
ქალბატონია...
იმხელა თანამდებობა ჰქონდა...
ნიჭის, განათლების და რაც მთავარია....
უნარების შესაბამისი....
მე სულ შემთხვევით გავიცანი. ...
ის ზუსტად იქ იყო სადაც უნდა ყოფილიყო...
მე, აბა, როგორ გითხრათ, ისე როგორც შემთხვევა სასურველის ნიშნით,...
ვიჯექით გვერდიგვერთ...
მე ვიცნობდი მას
ის არ მიცნობდა მე
მე შემეშალა სულ სხვაში
მოგვარეში. ...
მერე ჩვენ ვისაუბრეთ სულ ცოტა
მერე ჩვენ ვიყავით
უმცირესობაში...
ჩვენ ვიყავით მართლები...
ისევე როგორს უმრავლესობის თითოეული წევრი....
მერე ჩვენ გავიარეთ ერთად
ორივეს
მას და მეც
გვეჩქარებოდა და მაინც....
მას - უფრო
და მაინც..სიჩქარე რომ არა....
მე შევთავაზებდი ყავას...
მერე მე გაუგზავნე დამეგობრების თხოვნა
სად თუ არა ფბ-ში
მერე ის დათანხმდა მეგობრობას
მერე მე გადავიღე ვიდეო...
თხოვნით და რა თქმა უნდა კორონაზე. ..
მან მომწერა რომ
„მე ვერასოდეს ვიქნები ოპერატორი“...
მერე მან დაიწყო...
ანიდან კი არა....
კანიდან და მე..
ჯერ კიდევ ვსწავლობ მისგან
ის წარმატებულ ქალბატონია და მე...
ვამყობ
რომ ვიცნობ...
ვმეგობრობთ და
ხანდახან
ვეუბნები:
კარგი გოგო ხარ შენ ...
პორტრეტებიავტობიოგრაფიისთვის“...

დღეს 2023-ის 28 აპრილია...

სამ წელზე მეტი გასულია...

საჯაროდ დაფიქსირებული აზრი არ შემიცვლია...

შემიცვლია კი არა, აი, არც კი ვიცი, როგორ ვთქვა, გამსუყებულია...

და მაინც, მე ვუბრუნდები მამაჩემს კი არა, ორ სტრიქონს, პირველად მოსმენილს მამისგან:

„გარნა მიჭერენ მცირის მახითა,
მიტყუებენ რა ხორბლის მარცვლითა.“

მე არ მასხოვს რისთვის...

მე არ მახსოვს რათა...

თქვა და მიუბრუნდა საქმეს...

გოდორს ღობავდა...

წვიმდა, ლამის ინგრეოდა ქვეყანა...

დღეს არ წვიმს...

რიკოთის ძველ გვირაბამდე წვიმდა...

მერე აღარ...

დამეთანხმებიან ჩემები...

„ჩიტის“ ამბავი“ მოვყვე, დროა...

სულ არ მინდა ვიფიქრო დაღლაზე...

ჩემზე კი არა, გაზეთ „ალიონის“ მკითხველზე...

აბა, მე რა დამღლის სასიამოვნო მოგონებების საჯარო გაცხადებისას... და თუ არც თქვენ დაგღალეთ... უფ, რა სასიამოვნო მოგონებად დამრჩება წლების მერე!

კი, კი, ასეა ეს!

ხომ გახსოვთ: „**რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის**“...

მართლც ასეა და რა კარგია, როცა „ილია და გურულების“ წერისას ნიკოლოზ ბარათაშვილი გახსოვს!

ბევრი „საშვილიშვილო საქმე“ აკეთა ილიამ, და რამდენიც უნდა გაიხსენო, ბოლომდე მაინც ვერ გაიხსენებ... უდაო ფაქტია!

არც ვაპირებ...

მხოლოდ ზოგიერთს ვიხსენებდი აქამომდე და ასე იქნება ამჯერადაც...

„ჩიტიც“ საშვილიშვილო საქმეა...

მე ასე მიმაჩნია და იქნება ამიტომაც, მერამდენედ ვუბრუნდები დაწერილსა და ნათქვამს...

საკუთარ ნათქვამ-დაწერილს ვგულისხმობ...

ჩემ არაჩვეულებრივ მეგობარს ეძღვნება აქამდე დაწერილიც და რასაც ახლა დავწერ...

* * *

1857 წლის ჟურნალ „ცისკარის“ იანვრის ნომერში ილია ჭავჭავაძის პირველი ლექსი – „ჩიტი“ დაიბეჭდა.

ილიას იმდროინდელ ემოციაზე, მე კი არა, მგონი არავინ არაფერი იცის, შეიძლება იცის კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესახებ მე არაფერი წამიკითხავს. ჩემი გადასახედიდან, გაუხარდებოდა ძალიან.

გამოქვეყნებულ ვარიანტში „ჩიტს“ არანაირი მინიშნება არ აქვს თარგმანი რომაა, თუმცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომეულის მესამე ტომშია განთავსებული, აღნიშნული ტომი რომ იტყვიან, თავიდან-ბოლომდე, ილიას მხატვრული თარგმანებს აერთიანებს.

მოკლედ, თქმა არ უნდა, ლექსი თარგმნილია, მიუხედავად იმისა, რომ უცნობია ორიგინალის ავტორის ვინაობა, სიმართლე გითხრათ, არც დიდად დავინტერესებულვარ ამ ამბით.

სულ სხვა ადამიანი დაინტერესდა ამ ამბით, რომ იტყვიან ბევრის მცოდნე და მნახველი, პუშკინის „ჩიტიც“ გაიხსენა და ისიც, რომ პუშკინი ამ დროს 23 წლისაა და იმხანად, ბესარაბიაშია გამწესებული ЮЖНАЯ ССЫЛК -თ იყო ბესარაბიაშიო – არც ეს დავიწყებია ქალბატონ კოლეგას.

„ამ ლექსის ავტორი ცნობილი არ არის. არსებობს ამ თარგმანის ილიასეული სამი ხელნაწერი კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდის 105 ხელნაწერი წარმოადგენს ლექსის თარგმანის პირველ რედაქციას. იგი საგრძნობლად განსხვავდება სხვებისაგან და მის ტექსტს იქვე ვარიანტებში ცალკე ვბეჭდავთ. შემდგომში „ჩიტის“ თარგმანის შესწორებული პირი (ავტოგრაფი 108) ილიას გადაუცია ჟურნალ „ცისკარში“, სადაც იგი დაიბეჭდა 1857 წლის საახალწლო ნომერში. შემდეგ ეს თარგმანი ზოგიერთი ცვლილებებით დაიბეჭდა 1892 წელს



„ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემულ ილიას თხზულებათა პირველ ტომში.“ – ვკითხულობთ „ჩიტის“ თანდართულ შენიშვნებში, სად თუ არა, ხსენებულ მესამე ტომში.

თქვენი არ ვიცი, მე კი, არსად წამიკითხავს ამ ლექსის ანალიზი, დარწმუნებული ვარ იქნება, უბრალოდ მეტი ძიება იყო საჭირო, ვიდრე მე – ვეძებე და ვერსად – ვპოვე.

თავად ლექსი, დიდი მისახვედრი არაა, აღნიშნული ტომიდან მომაქვს:

„ყოვლთ უწინარეს მე
გავიღვიძებ,
ფრთას ფრთას შემოვჰკრავ, რა
თვალს ვახილებ,
დავჰკრავ, დავუშტვენ, ღმერთსა
ვადიდებ,
მშვენიერის ხმით მსმენელს
ვაგიჟებ.
უფლისაგან მაქვს სასმელ-
საჭმელი,
არც ვთეს, არცა ვმკი, არცა ვარ
მხვნელი,
გამაძღარი ვარ, მაქვს მე ყოველი,
მოდი, ზაფხულო, მე შენ
მოგელი.
მიყვარს ზაფხული მწვანით
შემკული,
ვცელქობ და ვფრინავ გახარებული,
სახლი მაქვს მინდვრად ღვთის
მოცემული
და საფრენად ცა განათებული;
ზეცით მწვანეზედ ჩამოვეშვები,
მშვენიერთ ყვავილთ შორისა
ვჯდები,
ხან ტყის, ხან წყლისა პირს
მოვედები,
ვითა ისარი მასზე გავსხლტები
ვინ მომეწევა, გინდ იყოს ცხენი,
გინდ მიმინო და გინდ
შავარდენი
გარნა მიჭერენ მცირის მახითა,
მიტყუებენ რა ხორბლის
მარცვლითა“.

ლექსი, რომელიც სულ ახლახან გაგახსენეთ, ბევრჯერ მაქვს წაკითხული. სიმართლე გითხრათ, ხან – მომწონს, ხან -არ მომწონს. თუ მკითხავ შენ ვისი ტიკ-ტომარა ხარ, ილიას ლექსი, ხან, რომ მოგწონს და ხან არ მოგწონსო, გეტყვი: რომ მომწონს – მიხარია, რომ არ მომწონს, ვფიქრობ, რომ სათანადოდ ვერ გავიზარდე ხდება ხოლმე არც გალაკტიონის ყველა ლექსი მომწონს სამწუხაროდ რას ვიზამთ, გარდა იმისა რომ, საქვეყნოდ ვაღიარო

სხვათაშორის, რჩეული სამსტრიქონებიც მაქვს: მაგ., აი ეს:

„უფლისაგან მაქვს სასმელ-
საჭმელი,
არც ვსთეს, არცა ვმკი, არცა ვარ
მხვნელი,
ვარ გამაძღარი, მაქვს მე ყოველი“
ანდაც
„სახლი მაქვს მინდვრად ღვთის
მოცემული,
ცისა ქვეშ ვფრინავ გახარებული;
ზეცით მწვანეზედ ჩამოვეშვები“

როცა ამ სამსტრიქონიანებს ვკითხულობ *„შეხედეთ ცის ფრინველებს, რადგან არ თესენ, არც მკიან, არც აგროვებენ ბეღლებში და მამა თქვენი ზეცათა ასაზრდოებს მათ. განა თქვენ მათზე უმჯობესნი არა ხართ?“* – ეს რომ მახსენდება, თქმა არ უნდა, სხვაც მახსენდება, უკვე ბარნოვის „გველის ზეიმიდან“.

გახსოვთ ხომ, როგორცაა?

„ – *ოღონდაც რომ ფრინველნი ცისანი, ჰაერის შვილნი! არცა თესენ, არც მოიმკიან და სახიერი აცხოვრებს მათ შვებით.“*

და მაინც, „ჩიტი“, მე რომ მომწონს, არა მგონია იმ სამი სრტიქონის გამო დაწერილიყო,.

ბოლო ორსტრიქონიანია, დაწერის თავიცაა და ბოლოც:

„გარნა მიჭერენ მცირის მახითა,
მიტყუებენ რა ხორბლის
მარცვლითა.“

19 წლისაა ამ დროს ილია მხოლოდ 19-ის და ალბათ, ამ დროს პირველად გაიფიქრა, სავარაუდოდ, არც ჩიტი ვარ, მიუხედავად შინაგანი თავისუფლებისა და არც ის ადამიანები ხართ, მე რომ ხორბლის მარცვლით მიმიტყუებ და მცირე მახით დამიჭერო

აი, აქ, დათა თუთაშხია გამახსენდა მე

გამახსენდა და ვიპოვი იმ ადგილს და წავიკითხავ კიდევ ერთხელ.

მანამდე, კიდევ ერთხელ წავიკითხავ „ჩიტს“

დიდი მადლობა, მეგობარო!

გიო კილაძე

21 მედალი ღია პირველობიდან!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამავჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებმ, ვახტანგ ბლაგიძის სახელობის სპორტის სასახლემ ბერძნულ – რომაულ ჭიდაობაში (2010 – 2012 წელს დაბადებულთა შორის) უკვე ტრადიციად ქცეულ **შაქრო ტულუშისა** და **იური ხომერიკის** ხსოვნისადმი მიძღვნილ ღია პირველობას უმასპინძლა.

ტურნირში საქართველოს მასშტაბით 350 მეტი სპორტსმენი, სხვადასხვა მუნიციპალი-ტეტიდან იღებდა მონაწილეობას.

როგორც ყოველთვის აღნიშნულ ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს ოზურგთელმა მოჭიდავეებმა, ჩვენმა ბიჭებმა შინ 21 მედალი , მათ შორის 8 ოქრო, 5 ვერცხლი და 8 ბრინჯაო დატოვეს და შეჯირბის ფავორიტები გახდნენ.

I ადგილი

გაბრიელ ცინარიძე 20კგ
დავით ცინარიძე 23კგ
ნიკოლოზ კუტუბიძე 41კგ
დავით მხეიძე 51კგ
საბა ვაშალომიძე 61კგ
ნიკოლოზ ჯოგლიძე 71 კგ
მამუკა ცინცაძე 71 კგ
ნიკოლოზ კილაძე 32 კგ

II ადგილი

დავით თოიძე 29კგ
დავით დოლიძე 23კგ
ლუკა მოისწრაფიშვილი 61კგ.
ბექა თოდრაძე 35 კგ
საბა ჩხეიძე 66 კგ

III ადგილი

გიორგი ჩხარტიშვილი 35კგ
დავით მატკავა 41კგ
გენო კუტუბიძე 71კგ
ლუკა გოი 90კგ
ერეკლე მაჭარაშვილი 44 კგ
თემურ ჩხარტიშვილი 61 კგ
გაბრიელ თავბერიძე 38 კგ
ჩხიკვაძე გიორგი 32 კგ

ოზურგეთელი მოჭიდავეები ასპარეზობისთვის : **ძმებმა ზურაბიანებმა, კობა ბალავინოვმა, იაშა ბოკუჩავამ, კახაბერ აბაშიძემ, ლაშა ქადეიშვილმა, ლაშა გუჯაბიძემ, გურამ მაჭარაშვილმა, ალიკა** და **გურამ აბაშიძეებმა მოამზადეს**

ჩემპიონებსა და საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს მედლები, თასები და სიგელები გადაეცათ.

ექვსი მედალი მძლეოსნებისგან!

19-21 მაისი ქ. თბილისში მძლეოსნობის სასახლეში საქართველოს ღია პირადი ჩემპიონატი (დიდები) გაიმართა მძლეოსნობაში.

ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებ გუნდებთან ერთად , სომხეთის გუნდიც იღებდა მონაწილეობას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამავჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მძლეოსნობის სექციის სპორტსმენებმა

წარმატებით იასპარეზა და შინ ერთი ოქრო, სამი ვერცხლი და ორი ბრინჯაო წამოიღეს. საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი **გოგა ჭინჭარაიმ** უროს ტყორცნაში (7კგ) აიღო. მწვრთნელები (გ. ბედოშვილი, მ. კოტრიკაძე)

ქეთევან მამალაძემ ბადროს ტყორცნაში (1კგ) დაუუფლა ვერცხლს. (მწვრთნელები დ. მანთიძე , მ. კოტრიკაძე)

მარინა კოტრიკაძის აღზრდილებმა: **ანა მგელაძე** ბირთვის კვრაში (4 კგ) მეორე ადგილის მფლობელი გახდა; **გიორგი კაპელიანმა** კი ბირთვის კვრაში (7კგ) აიღო ვერცხლი; **გიორგი პაკელიანი** ასევე ბადროს ტყორცნაში (2 კგ) დაეუფლა მესამე ადგილს; **ანა მგელაძემ** კი ბადროს ტყორცნაში (1 კგ) აიღო ბრინჯაო.

რუსუდან ბერიძე

83 წლის ასაკში გარდაიცვალა მათემატიკოსი, პედაგოგი და პოლიტიკოსი **რუსუდან ბერიძე.**

რუსუდან ბერიძემ დაამთავრა ქ. ოზურგეთის №2 საშუალო სკოლა,1961 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1965 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის ლექტორი, 1992-1995 წლებში – საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა“. იყო სპიკერის მოადგილე და შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, 1997-2005 წლებში იყო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

რუსუდან ბერიძე არის 20 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია უსაზღვრო მწუხარებით თანაუგრძნობს ციხისფერდის საჯარო სკოლის პედაგოგს ქალბატონ ნანა შარაძეს უსაშველო, უსაზომო ტკივილს უსაყვარლესი, საამყო შვილის **გიორგი კაპანაძის** გარდაცვალების გამო.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის ლამაზ სულს.

სკანვორდი





პასუხები:



ავტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში



სხდომაზე მყოფთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ორად გაიყო: პროფესორი **ალექსანდრ ალმაზოვი** პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მე-6 და მე-7 კანონების დამოწმებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არამართებულად მიიჩნევდა, რადგანაც თვლიდა, რომ ამ კანონების ბერძნული ტექსტი სხვაგვარად იკითხებოდა. პროფესორმა ნიკოლაი ზაოზერსკიმ სხდომაზე მყოფთ შეახსენა, რომ იგი საეკლესიო კანონებს მხოლოდ ბერძნულ ენაზე კითხულობდა, ამიტომ შეცდომა გამორიცხული იყო. პროფესორ ალმაზოვს სხვა შენიშვნებიც ჰქონდა კოლეგის მოხსენების მიმართ. კერძოდ, იგი თვლიდა, რომ ეკლესიაში ტრადიციებს ორ კატეგორიად ყოფდნენ, რაც მათი მოქმედების ხანგრძლივობით იყო გამოწვეული. პირველი კატეგორიის ტრადიციებს მიეკუთვნებოდა ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც ქრისტიანობასთან ერთად გაჩნდა, ხოლო მეორე კატეგორიას — ისინი, რომლებიც შედარებით გვიან პერიოდში ჩამოყალიბდა. პროფესორი ალმაზოვი თვლიდა, რომ ზაოზერსკის მიერ მსგავსი მაგალითის დასახელება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაჭრის დროს არასწორი იყო, რადგან თავდაპირველი წეს-ჩვეულებები საქართველოს ეკლესიას არ გააჩნდა. პროფესორ ალმაზოვის აზრით, არანაირი რელიგიურ-ზნეობრივი პრინციპი არ გააჩნდა იმ გადმოცემასაც, რომელიც საქართველოში ანდრია პირველწოდებულის შემოსვლას ეხებოდა, რომლის დასაბუთებაც, რუსი მეცნიერის აზრით, არავის შეეძლო. ალექსანდრ ალმაზოვს მიაჩნდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვება ყოველთვის დამოკიდებული იყო მოსახლეობის პოლიტიკურ მზადყოფნაზე. რუსი მეცნიერების პოლემიკაში თავისი ანტიქართული განწყობილებით ცნობილი პროფესორი **ი. ს. პალმოვიც** ჩაერთო. მან აღნიშნა, რომ ავტოკეფალიის მინიჭებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ და ეთნოგრაფიულ პრინციპებსაც. აქედან პირველი, ე. ი. პოლიტიკური პრინციპი, ისტორიაში უფრო მეტად იყო მიღებული და გამართლებული.

დისკუსიაში პროფესორმა **ივან სოკოლოვმაც** მიიღო მონაწილეობა. სოკოლოვმა თავისი შეხედულება, თუ რატომ უნდაეღიარებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ასე ჩამოაყალიბა:

"სრულიად ვეთანხმები ა. ი. ალმაზოვს იმაში, რომ XI საუკუნემდე საქართველოს ეკლესია არ ფლობდა სრულ კანონიკურ ავტოკეფალიას. ეს ეკლესია IV საუკუნეში აღმოცენდა, ხოლო სრული ავტოკეფალია საბოლოოდ XI საუკუნეში მიიღო, რასაც ბალსამონიც ადასტურებს. ვერ დავეთანხმები ა. ი. ალმაზოვს იმაში, რომ თითქოს საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია შემთხვევით მიიღო. ჩვენს კრებებზე დეტალურად დადასტურდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა ყოველთვის წინ უძღვის ეკლესიის ავტოკეფალიას. საქართველოშიც ზუსტად ასე მოხდა. კანონიკური ავტოკეფალიის მინიჭებისთანავე (ე. ი. XI საუკუნეში) საქართველომ არა მარტო დიდ პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია, არამედ ხელსაყრელი პირობები გაუჩნდა ეკლესიური ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ IX საუკუნეში საქართველოს ეკლესიას თავისი წინამძღოლის თავისუფლად არჩევის უფლება ჰქონდა, ხოლო უკვე XI საუკუნეში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა, კათოლიკოსმა, მიიღო დე ფაქტო მართვისა და სამართლის უმაღლესი უფლებები. იგი, ამასთანავე, თამჯდომარეობდა საეკლესიო კრებებს. მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა ბევრ მღვდელმთავარზეც. უდავოა, დე ფაქტო საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური გაცილებით უფრო ადრე იყო, ვიდრე XI საუკუნეში თავის დამოუკიდებლობას კანონიკურად მიიღებდა. საქართველოს როგორც პოლიტიკური, ისე საეკლესიო მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მისი ავტოკეფალურობა არ იყო შემთხვევითი. ამასთანავე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ჩემი აზრით, იყო სრული, მსგავსადვე სხვა ეკლესიების ავტოკეფალიისა(...) სხვათა შორის, ეს მტკიცდება XIV საუკუნეში ივერიის კათოლიკოსისადმი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართვის ფორმულირებით. ბიზანტიელი მწერალი კოდინი გვამცნობს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღოლების ტიტულატურებს, რომლებთანაც ბიზანტიის საპატრიარქოს, საეკლესიო საქმეებიდან გამომდინარე, ურთიერთობა ჰქონდა. მათ რიცხვში მითითებული იყო ივერიის ეკლესიის წინამძღოლიც, რომლის ტიტულიც, ბიზანტიური ტრადიციით, ოფიციალურად შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: "უნეტარესი მთავარეპისკოპოსი, სრულიად ივერიის კათოლიკოსი, სული წმიდით საყვარელი ძმა და თანამოღვაწე ჩვენი საქმისა". მიმაჩნია, რომ ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღოლებს შორის საქართველოს კათოლიკოსის მოხსენიება მის თანასწორ უფლებას ადასტურებს".

ალექსანდრ ალმაზოვმა, რომელიც ამ სხდომაზე თავგამოდებით ებრძოდა ქართველ სამღვდელოებასა და მეცნიერებს, თავისი შეხედულება გამოთქვა კათოლიკოსის უფლებების შესახებ: "საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის წარმოშობასთან დაკავშირებით კვლავ ძველ შეხედულებაზე ვრჩები, ხოლო რაც შეეხება კათოლიკოსის უფლებათა გავრცელებას, ვიზიარებ ფორმალურ თვალსაზრისს(...). როდესაც ვსაუბრობ საქართველოს ეკლესიის არასრულ ავტოკეფალიაზე, აქ ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს ეკლესიაში ანტიოქიის პატრიარქზე ლოცვა არასოდეს შეწყვეტილა. ეს კი ძალზე ბევრს ნიშნავს. ანტიოქიის პატრიარქის მორალურ-ზნეობრივი ავტორიტეტის აღიარება უკვე ადასტურებს საქართველოს ეკლესიის მასზე დამოკიდებულების ფაქტს. რაც შეეხება ტიტულის ფორმულირებას, ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს, ეს ჩვეულებრივი პატივისცემის გამოვლინებაა, რომელსაც სხვა მიმდინარეობის ეკლესიებშიც ვხვდებით" .

აღნიშნულმა საკითხმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე საკმაოდ მწვავე კამათი გამოიწვია. რუსი მეცნიერები და სასულიერო პირები საკუთარი შეხედულებების დაცვასა და დამკვიდრებას ცდილობდნენ. პროფესორმა ალექსანდრ ბრილიანტოვმა სცადა გაებათილებინა ქართველი ეპისკოპოსებისა და მეცნიერების არგუმენტები. მან თავისი მოსაზრება საკმაოდ ვრცლად წარმოადგინა: "ვფიქრობ, ზოგადად თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებაში საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება ძალდატანებით(...). ისტორიისათვის აუცილებელია განმარტების მიცემა(...), უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო ცხოვრებაში წარმოქმნილი პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას, აუცილებელია, ეკლესიის კეთილდღეობიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ დადგენილებით. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შემთხვევაში, შესაძლებელია ითქვას, რომ თუკი ქართველებს მომავალში ექნებათ ავტოკეფალია, ის არა მარტო შეუსაბამო იქნება საეკლესიო მოთხოვნებთან, არამედ ზიანის მოტანაც შეეძლება და სწორედ ამიტომ მისი გაუქმებაც გამართლებული იყო. სხვა მხრივ, თუკი ისტორიული მონაცემებით გამოვლინდება, რომ ავტოკეფალია არასდროს ჰქონია მინიჭებული, მაგრამ ეკლესიის კეთილდღეობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, მაშინ იგი უნდა შემოვიღოთ".

პროფესორი **ი. ს. პალმოვი** საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს შეეხო და განაცხადა:, ,საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მისი ურთიერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსთან ჯერჯერობით უამრავ გაურკვევლობას შეიცავს. პროფ. ნ. ი. მარმა არაერთხელ მოინდომა ამ ფაქტის მეცნიერულად შესწავლა. არადა, არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ საქართველოს ეკლესია თავიდანვე ნამდვი-ლად იყო ანტიოქიისაგან დამოუკიდებელი, ისევე როგორც ასურულ-სპარსული ეკლესიაც თავისუფალი იყო, როგორც ეს ვ. ვ. ბოლოტოვის გამოკვლევებით დადგინდა. მაგრამ შემდეგ შეითხზა ლეგენდები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის ურთიერთობებს. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო საქართველოს ეკლესიის შემთხვევაშიც, თუმცა აქ, სხვა მხრივ, შესაძლოა, ანტიოქიასთან სინამდვილეში მეტ-ნაკლებად ახლო ურთიერთობა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ავტოკეფალია შემდგომში უთუოდ გადაეცათ მათ ამა თუ იმ მდგომარეობის გათვალისწინებით."

პროფესორმა **ი. ს. პალმოვმა** ისარგებლა იმ ფაქტით, რომ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდი, ასევე ქართველი მეცნიერები სხდომას არ ესწრებოდნენ და განაცხადა:

„სამწუხაროდ, თვითონ ქართველები, რომლებიც ავტოკეფალიას ითხოვდნენ, დღეს ჩვენ გვერდით არ არიან და თუკი ისინი აქ იქნებოდნენ, სასურველი იყო მათგან პირადად მოგვესმინა, თუ როგორი ურთიერთობა სურთ ავტოკეფალიის მიღების შემდეგ რუსეთის ეკლესიასა და სახელმწიფოსთან, როგორი სახისაა მათი პროექტი და რატომ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სრული გამოცალკევებით".

ამ კითხვით დაასრულა რუსმა მეცნიერმა თავისი გამოსვლა. რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომის თავმჯდომარე გამოეხმაურა კოლეგის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ქართველებს მართლაც ჰქონდათ შედგენილი ავტოკეფალიის აღდგენის პროექტი(გულისხმობდა ქართველი სამღვდელოების კრების მიერ 1905 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული "საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი"— ვ. გ.) და მცირედითაც კი არ კმაყოფილდებოდნენ. პროფესორმა ალექსანდრ ბრილიანტოვმა სხდომაზე მყოფთ კიდევ ერთხელ შეახსენა ქართველების მოთხოვნა, მაგრამ რატომღაც ჩათვალა, რომ ქართველმა სასულიერო პირებმა თავიანთი მოთხოვნა მხოლოდ ზოგადი ფორმით წარმოადგინეს და არ განმარტეს, თუ როგორ მოიქცეოდნენ მომავალში. აშკარა იყო, რომ რუსი სულიერო პირებისათვის და მეცნიერებისათვის ქართველი მეცნიერებისა და სამღვდელოების დამაჯერებელი არგუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა.

1906 წლის 13 დეკემბრის სხდომა. 1906 წლის 13 დეკემბერს მუშაობა განაგრძო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილებამ (სექციამ), რომელსაც თავმჯდომარეობდა ლიტვის მთავარეპისკოპოსი **ნიკანდრი (ნიკოლაი ფენომენოვი).** კრებას ესწრებოდნენ: მოგილიოვის ეპისკოპოსი **სტეფანე;** დეკანოზები: **ტიმოფეი ბუტკევიჩი, იოან ვოსტორგოვი;** პროფესორები: **ფიოდორტიტოვი, ილია ბერდნიკოვი, ალექსანდრ ალმაზოვი, ნიკოლაი გლუბოკოვსკი, ალექსანდრ ბრილიანტოვი, ივან სოკოლოვი, ი. ი. კოიალოვიჩი**. სხდომას ასევე ესწრებოდა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი და უწმიდესი სინოდის კანცელარიის წარმომადგენელი, სამოქალაქო მრჩეველი **ვ. ფ. ტრელინი.**

სხდომა გაიხსნა დეკანოზ იოან ვოსტორგოვის მოხსენებით:„**საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა",** რომელშიც ნაწიმასწარმეტყველევი იყო: 1. ყველა ის შესაძლო პრაქტიკული შედეგი, რომლებიც მოჰყვებოდა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას; 2. კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის შესაძლო გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას არ მიანიჭებდნენ. ამ მოხსენების თაობაზე შენიშვნები გამოთქვესრუსმა მეცნიერებმა. ვოსტორგოვი კი ჯიუტად იმეორებდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას პოლიტიკური მოტივი ჰქონდა.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე მოისმინეს კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის ორი პროექტი. მთავარეპისკოპოს **ნიკანდრის** აზრით, სჯობდა, მეორე პროექტზე შეეჩერებინათ არჩევანი, რადგან ეს პროექტი მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებდა ქართველების ეროვნულ მისწრაფებებს. ასევე შესაძლო იყო, ქართველები პირველ პროექტსაც შეჰგუებოდნენ, თუკი ეგზარქოსი ქართველი იქნებოდა და არა რუსი. პროფესორი ნიკოლაი გლუბოკოვსკი თვლიდა, რომ ამ საკითხს ძალზე ფრთხილად უნდა მოჰკიდებოდნენ, რადგან კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობის პროექტები თავისთავად გულისხმობდა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი კონკურენტი მართლმადიდებელი მღვდელმთავრის არსებობას. გლუბოკოვსკის აზრით, საქმე შეიძლება "ეკლესიის აღრევამდეც" კი მისულიყო, თუმცა ისიც ამ ორი პროექტიდან მაინც მეორეს ანიჭებდა უპირატესობას. არსებული საკითხის ირგვლივ გაიმართა მცირე კამათი. დისკუსიის დასრულების შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა სამოქალაქო მრჩეველ ვ. ფ. ტრელინს, წაეკითხა მოხსენება, რომელიც კავკასიის ახალმოსახლეების გაჭირვებასა და საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში ხალხის ტომობრივ და სარწმუნოებრივ დაყოფას ეხებოდა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კავკასიაში რუსების შევიწროებას ბოლო არ უჩანდა. ცხადია, ტრელინის მოხსენება თავიდან ბოლომდე არარსებულ ფაქტებს ემყარებოდა, მაგრამ იმჟამად მათი შემოწმება შეუძლებელი იყო.

პროფესორი **ი. ს. პალმოვი** საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების პრინციპული მოწინააღმდეგე იყო. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იმ შინაარსითა და ფორმით აღდგენა, რასაც ადგილი ჰქონდა 1811 წლისათვის.

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების 1906 წლის 13 დეკემბრის სხდომა იყო უკანასკნელი, რომელზეც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოვადგენთ რუსი მეცნიერების საბოლოო შეხედულებებს.

პროფესორმა **ნიკოლაი გლუბოკოვსკიმ** აღნიშნა: *„მე არ ვარ სხვადასხვა სახის მცირე ავტონომიურობისა და დანაწევრებული ავტოკეფალურობის მომხრე. ყოველივე ამის შემდეგ სრულებით არ ვდგავარ „ორგანულ მტკიცებულებაზე" საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ. პირ-იქით, მთელი გულმოდგინებით ვუშვებ, რომ ახალ საეკლესიო ავტოკეფალიას შეუძლია სრული კანონიერების დაცვით აღმოცენდეს და დამყარდეს იქაც კი, სადაც ის ადრე არასდროს ყოფილა, როგორც ეს მოხდა უახლოეს წარსულში (XIX საუკუნის 60-იან წლებში) ავსტრია-უნგრეთში, როცა ლოვაცკის ეპარქიას გამოეყო გერმანშტადტის (სიბინის) რუმინული ეკლესია. ეს ფაქტი მართებული იქნება მართლმადიდებლური საქართველოს ეკლესიისათვისაც. თუკი იგი საერთო წევრია აღმოსავლეთის რუსეთის ეკლესიისა, მაშინ ამ უკანასკნელის უშუალო ინტერესი იმაზეა დამყარებული, რომ მისი ყველა ნაწილი სრულფასოვანი იყოს. სხვაგვარად, ერთი შემადგენელი ელემენტის ავადმყოფობასა და დაბეჩავებას შეუძლია დამღუპველი სენით მთელი ორგანიზმის დაავადება(...)".*

პროფესორების ი. ს. პალმოვისა და ნ. ნ. გლუბოკოვსკის საბოლოო შეხედულებების მოსმენის შემდეგ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის თავმჯდომარემ კენჭი უყარა შემდეგ საკითხს: სხდომამ მიიღოს პირველი თუ მეორე პროექტი? პირველი პროექტის შესახებ აზრი გამოთქვეს დეკანოზებმა: **ტიმოფეი ბუტკევიჩმა, იოან ვოსტორგოვმა** და **პროფესორმა ალექსანდრ ალმაზოვმა**, მეორე პროექტის თაობაზე კი - სხდომის დანარჩენმა წევრებმა. უმრავლესობის გადაწყვეტილებით სხდომამ მიიღო მეორე პროექტი, რომელიც ითვალის-წინებდა კავკასიაში ორი სამიტროპოლიტოს დაარსებას.

აქვე წარმოვადგენთ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების მიერ შემუშავებულ ორივე პროექტს:

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 526-529

დასაწყისი იხ. „ალიონი"№18-32,2022წ, №3-11, 2023 წ.

გურიის რეგიონის მხატვრების გამოფენა კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრსა და საქართველოს კულტურის ფონდს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც თბილისში მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში„ მუზა” 13 მაისს გაიხსნა გურიის რეგიონის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაში მონაწილეობდა რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის 56 მხატვარი.

ავთანდილ თავართქილაძე, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორი: – *ოზურგეთში, ჩვენს მიერ მოწყობილ გურიის მხატვართა ნამუშევრების გამოფენას საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე* ***თამაზ შილაკაძე*** *ესწრებოდა, რომელმაც ამ გამოფენის მოწყობა კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ შემოგვთავაზა.*

56 მხატვრის ამდენიმე ნამუშევარი იყო წარმოდგენილი გამოფენაზე, რომელიც 13 მაისს საზეიმოდ გაიხსნა „მუზაში“.

გამოფენის გახსნაზე თამაზ შილაკაძემ აღნიშნა, რომ წლებია, რეგიონის მხატვრების გამოფენა არ მოწყობილა დედაქალაქში და გურიის რეგიონი მართლაც გამორჩეულია. ეს გამოფენა გვიჩვენებს, რომ დადგა დრო რეგიონები მეტად წარმოვაჩინოთ.

გამოფენას ძალიან დიდი საზოგადოება დაესწრო, მათ შორის უცხოელებიც. საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის გურამ ცერცვაძის გადაწყვეტილებით 3 ივნისს, საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზ „ოპიზაში“ გაიხსნება გურიის მხატვრების გამოფენა, ამჯერად გურიის მხატვართა კავშირის სახელით. ამასთანავე გამოვა სპეციალური კატალოგი, სადაც 56 მხატვრის 100 ნამუშევარი იქნება შეტანილი“- –გვითხრა ავთანდილ თავართქილაძემ.

გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი **დავით შემოქმედელი** და გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია.**

გამოფენა „მუზაში“2 დღეს გასტანა. ახლა ახალი გამოფენისთვის ემზადებიან.

ვულოცავთ!

ქვედა ბახვის საჯარო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგი **სოფიო ანტონიანი** უსაზღვრო სიხარულითა და სიყვარულით შეუერთდა ახალბედა დედებს. მან პირველად შეიგრძნო შვილის სურნელი. დედობა უდიდესი ძალაა, ბედნიერებაა! დაე, სულ ასე ბედნიერი იყავით.

დედაშვილობის მადლი და თაყვანისცემა მისურვებია ბავშვთა სულის სიფაქიზით, რუდუნებითა და სიყვარულით მძერწავო, არასოდეს მოგკლებოდეს ქალური ხიბლი, თქვენი ქალობის ღვწის თუ ამაგის დაფასება, აუწყავი სიყვარული და სიმშვიდე.

გლოცავთ, გილოცავთ და კიდევ ორმაგ გმირობას ველოდებით თქვენგან –მრავალი შვილი უნდა აჩუქო ქვეყანას.

ღვთისმშობლის მადლიანი კალთა გფარავდეთ!

კეთილი სურვილებით,

როზა გოგუაძე,

სპმთპ-ის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

თოჯინური სპექტაკლი ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში

ჩოხატაურის ხელოვნების სასახლის სცენაზე წარმოდგენილ იქნა ეფემ ჩეპოვეცკის პიესა - „ჯამბაზი პედრო და წრუწუნა მიციკი.“ დამდგმელი რეჟისორი - ვახტანგ გიგინეიშვილი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გივი სარჩიმელიძის სახელობის ჯილდოს მფლობელი) მხატვარი – ირაკლი კალანდარიშვილი, მუსიკალური გამფორმებელი – დავით მეგრელიძე, თოჯინების ოსტატი – ნინო კეჭაყმაძე, ქორეოგრაფი– ირაკლი ჩახვაძე, რეჟისორის ასისტენტი – ქეთი კუკულავა.

მონაწილეობდნენ: ანანო ვასაძე, გიორგი გიორგაძე, ალექსანდრე თოდრაძე, ლუკა კოტრიკაძე, თორნიკე ბერიძე და ირაკლი კალანდარიშვილი (სპეციალური მოწვევით)

სპექტაკლში ჩოხატაურის სამრევლო და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საოცარი უშუალობით წარმოადგინეს თოჯინური სპექტაკლი, როგორც რეჟისორმა ჩვენთან საუბარში განაცხადა; - ბავშვებმა ძალიან სწრაფად აითვისეს თოჯინის ხელოვნება და საინტერესოდ გააცოცხლეს პერსონაჟები. სპექტაკლის ყველა მონაწილემ მაქსიმალურად გამოამჟღავნა თავიანთი შესაძლებლო-ბები. ამიტომაც დაიმსახურეს მაყურებლის დი-დი მოწონება და მხურვალე აპლოდისმენტები.

სპექტაკლი განხორციელდა არასამთ-ავრობო ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ მხარდაჭერით. (დამფუძნებლები ირინა ბაქრაძე და ნათია ლალიაშვილი)

გვჯერა ახალგაზრდული დასი კიდევ მრავალ საუკეთესო თოჯინურ სპექტაკლებს წარმოადგენს ჩოხატაურის ხელოვნების სასახლის სცენაზე.

აჭარის ღია პირველობიდან ოქროს მედალი ოზურგეთელმა ბარბარე მამალაძემ მოიპოვა!

15 – 19 მაისს ბათუმში ჩოგბურთში, 14 წლამდელთა შორის აჭარის ღია პირველობა გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამა-ჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჩოგბურთის სექციის 11 წლის სპორტსმენმა **ბარბარე მამალაძემ**, რომელმაც ასპარეზობისას საუკეთესო შედეგი აჩვენა და პირველ ადგილს ღირსეულად დაეუფლა.

ბარბარე მამალაძემ ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო. ფინალი ღირსეულად ითამაშა და ოქროს მედალს დაეუფლა. ბარბარე საპასუხისმგებლო ტურნირისთვის ჩოგბურთის მწვრთნელებთან – დავით თავართქილაძესთან, მამუკა კილაძესთან და გივი სიამაშვილთან ერთად, მამამ, ყოფილმა ჩოგბურთელმა, გოგი მამალაძემ მოამზადა, რომელიც ბარბარეს პირადი მწვრთნელია და მუდმივად ცდილობს,რომ 11 წლის პერსპექტიული გოგონა ფორმაში ამყოფოს, მოტივაცია მისცეს და ლიდერობის თვისებები კიდევ მეტად აუმაღლოს.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ოზურგეთისთვის ეს საჩოგურთო გამარჯვება თითქმის უპრეცენდენტოა და 11 წლის ბარბარემ ეს შეძლო!

მკლავჭიდში ევროპის ვიცე – ჩემპიონი ოზურგეთელი ლუკა მგელაძე გახდა!

19-20 მაისს, ფინეთში, ქალაქ ლაუკაში, IFA-ს ეგიდით მჯლავჭიდში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა.

ჩემპიონატში 17-მა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა.

საქართველო ევროპაზე 13 სპორტსმენით წარსდგა.

შედეგები ასეთია: 10 ოქროს, 6 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მარჯვენა და მარცხენა მკლავში.

საქართველოს სახელით ევროპაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მკლავჭიდის სექციის აღზრდილმა, **ლუკა მგელაძემ** 86 კგ. იასპარეზა.

ლუკა მგელაძემ მარცხენა მკლავში ვიცე – ჩემპიონობა და ვერცხლი მოიპოვა, ხოლო მარჯვენაში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. (მწვრთნელი : გიორგი რუსიეშვილი)



„მერცხალმა“ ჩხოროწყუში „სამეგრელოს“ 9:2 სძლია

საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მეხუთე ლიგის (რეგიონლიგა „გ“ ჯგუფი“) ოზურგეთის „მერცხალმა“ მე-6 ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა

გასვლითი მატჩი ჩხოროწყუს „სამეგრელოსთან“ – ანგარიშით 9:2 დასრულდა.

„მერცხალს“ 6 ტურის შემდეგ 18 ქულა აქვს (ბ/შ 36:7) და გათამაშებას ლიდერობს.

მე-7 ტურში „მერცხალი“ ჭიათურის „მაღაროელს“ უმასპინძლებს.

შეხვედრა 16 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

 მზე, ღრუბელი
+13+25
25 მაისი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი
+13+22
26 მაისი
პარასკევი

მზე, ღრუბელი
+14+24
27 მაისი
შაბათი

ღრუბელი
+14+23
28 მაისი
კვირა

მზე, ღრუბელი
+17+23
29 მაისი
ორშაბათი

მზე, ღრუბელი
+15+22
30 მაისი
სამშაბათი

წვიმა
+15+21
31 მაისი
ოთხშაბათი